საქართველოს
სახალხო დამცველი
PUBLIC DEFENDER
(OMBUDSMAN) OF GEORGIA

N 15-5/5812
19/06/2023

5812-15-5-2-202306190931

საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს
ქალბატონ ნინო ქადაგიძეს

სასამართლოს მეგობრის (Amicus Curiae) მოსაზრება

მსჯავრდებულ [redacted] საქმეზე

შემუშავებულია საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ განხორციელებული შემოწმების შედეგების მიხედვით და გეგზავნებათ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „ე" ქვეპუნქტის შესაბამისად.

ქალბატონო ნინო,

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა შეისწავლა მსჯავრდებულ [redacted] მიმართ თბილისის საქალაქო და სააპელაციო სასამართლოების მიერ გამოტანილი განაჩენები. მოცემულ ეტაპზე, დაცვის მხარის საკასაციო საჩივრის საფუძველზე, საქმეს განიხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო.

განაჩენების შესწავლის შედეგად გამოიკვეთა, რომ ქურდობისთვის [redacted] მსჯავრდება ეფუძნება მხოლოდ პოლიციელების ჩვენებას. შესაძლებლობის მიუხედავად ფაქტის ამსახველი ნეიტრალური მტკიცებულების მოპოვება არ მომხდარა. ხოლო სავარაუდოდ მოპარულ ნივთზე არ ფიქსირდება ბრალდებულის ბიოლოგიური მასალის კვალის არსებობა. აღნიშნული კი ეწინააღმდეგება ეჭვის ბრალდებულის სასარგებლოდ გადაწყვეტისა და მხოლოდ უტყუარი მტკიცებულებების საფუძველზე გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანის პრინციპებს, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ დადგენილ სტანდარტს, კანონმდებლობასა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დადგენილ პრაქტიკას.

აღნიშნულ საკითხს განსაკუთრებული მნიშვნელობა გააჩნია როგორც უშუალოდ მსჯავრდებულის უფლებრივი მდგომარეობის, ისე - სამართლიანი სასამართლოს უფლების რეალიზებისთვის სასამართლოს შემდგომი პრაქტიკის განვითარებაზე მსგავსი საკითხის გადაწყვეტისას.

საქართველო, თბილისი 0102, დავით აღმაშენებლის გამზირი N80,
ცხელი ხაზი: 1481 (24/7); www.ombudsman.ge; ელ-ფოსტა: info@ombudsman.ge
80 David Agmashenebeli Avenue, Tbilisi 0102, Georgia,
Hotline: 1481 (24/7); www.ombudsman.ge; E-mail: info@ombudsman.ge

შესაბამისად, „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტით და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 55-ე მუხლით გათვალისწინებულ უფლებამოსილების ფარგლებში სახალხო დამცველმა გადაწყვიტა, სასამართლოს წარუდგინოს სასამართლოს მეგობრის (Amicus Curiae) მოსაზრება, საქართველოს უზენაესი სასამართლოს წარმოებაში არსებულ [redacted] ბრალდების სისხლის სამართლის საქმეზე.

მოცემული წერილობითი მოსაზრების მიზანია არა პროცესის რომელიმე მონაწილის მხარდაჭერა, არამედ სასამართლოს დახმარება, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით დადგენილი სტანდარტით და ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის გათვალისწინებით, სათანადოდ შეაფასოს განსახილველი საკითხი.

1. **ფაქტობრივი გარემოებები:**

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 17 მაისის განაჩენით, [redacted] დამნაშავედ იქნა ცნობილი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით. განაჩენის თანახმად, საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულისთვის ნასამართლევი [redacted] 2021 წლის 25 ოქტომბერს, საღამოს საათებში, თბილისში, [redacted] გამზირის N1-ის მიმდებარე ტერიტორიაზე მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით ფარულად დაეუფლა [redacted] საფულეს, მასში არსებული ფულადი თანხით. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2023 წლის 30 იანვრის განაჩენით პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენი უცვლელად დარჩა.

1.1. მტკიცებულებები

განაჩენის მიხედვით, საქმეში არსებული მტკიცებულებებია:

დაზარალებულის [redacted] ჩვენებით, N[redacted] ავტობუსით მგზავრობისას პირმა (მოგვიანებით პოლიციელი აღმოჩნდა) უთხრა, რომ ჩანთა შეემოწმებინა და ენახა საფულე შედეგად აღმოაჩინა, რომ საფულე (ედო 90 ლარი და ხურდა ფული) აღარ ჰქონდა. ავტობუსიდან ჩასვლის შემდეგ, პოლიციელებმა უთხრეს, რომ დააკავეს ქურდი და იპოვეს საფულე, გადაიყვანეს განყოფილებაში, გამოკითხეს და ამოიცნო საკუთარი საფულე.

პოლიციელის [redacted] ჩვენებით, ავტობუსით მგზავრობისას დაინახა [redacted] როგორ ამოაცალა [redacted] ჩანთიდან საფულე. ამ დროს ავტობუსის კარები გაიღო და [redacted] ჩავიდა ავტობუსიდან, ხოლო თვითონ დაზარალებულს უთხრა, რომ ამოაცალეს საფულე და გადაემოწმებინა. დაზარალებულს ჩანთაში საფულე აღარ აღმოაჩნდა, რის შემდეგ თხოვა ჩასულიყო ავტობუსიდან და დარჩა მასთან. [redacted] გაჩერებასთან ახლოს ელოდებოდნენ კოლეგა პოლიციელები, რომლებსაც მიუთითა, რომ [redacted] მოიპარა საფულე და ის პოლიციელებმა დააკავეს.

რაც შეეხება დანარჩენ პოლიციელებს: [redacted] თქმით, კოლეგებთან - [redacted] და [redacted] ერთად იმყოფებოდა [redacted]

გამზირზე, „გუდვილთან“ გაჩერებაზე, მიდიოდნენ სხვა ღონისძიებაზე და ელოდებოდნენ [redacted]. ავტობუსიდან ჩავიდა [redacted], ასევე, ახალგაზრდა ქალთან ერთად [redacted]. მან მიუთითა [redacted], რომ დაეკავებინათ, რადგან მოპარული ჰქონდა საფულე. [redacted] ცდილობდა სწრაფი ნაბიჯით დაეტოვებინა ტერიტორია და თითქმის გადასული იყო გზის მეორე მხარეს, შუაში. პოლიციელები დაედევნნენ და როგორც კი ხელი მოკიდეს, [redacted] გზის სავალ ნაწილზე გადააგდო ვარდისფერი საფულე. ბრალდებული [redacted] და [redacted] დააკავეს, ხოლო [redacted] დარჩა საფულესთან.

ანალოგიური ჩვენებები მისცეს [redacted] და [redacted]. [redacted] განმარტა, რომ [redacted] სავალი გზიდან ამოიღო საფულე (რომ არ მომხდარიყო მისი განადგურება), რომელიც დაილუქა სამმართველოში. [redacted] თქმით, [redacted] და [redacted], რომელმაც სავალ ნაწილზე ძირს დააგდო მოვარდისფრო საფულე, დააკავეს სანამ ტროტუარზე ავიდოდა. თვითონ საფულესთან დარჩა, რომ ნივთმტკიცება არ განადგურებულიყო. შემთხვევის დროს, ადგილზე ხალხი მოძრაობდა, ქარი იყო და შესაძლოა საფულე დაზიანებულიყო ან ვინმეს მოეპარა, რის გამოც აიღო საფულე, მოათავსა პოლიეთილენის პარკში და მიიტანა სამსახურში, სადაც აღნიშნული საფულე მისგან ამოიღო გამომძიებელმა.

[redacted] და [redacted] მტკიცებით, მომხდარ ფაქტამდე ბრალდებულთან შეხება არ ჰქონიათ. პოლიციელების ჩვენებებით ირკვევა, რომ ისინი მუშაობენ თბილისის პოლიციის დეპარტამენტში: [redacted] - [redacted] სამმართველოს უფროსის მოადგილეა, ამავე სამმართველოს (მე-[redacted]) დეტექტივები არიან [redacted] და [redacted], ხოლო [redacted] დეტექტივების მთავარი სამმართველოს მე-[redacted] სამმართველოს დეტექტივია.

გამომძიებელმა [redacted] დაადასტურა ბრალდებულ [redacted] ბრალდების დადგენილების გაცნობა და მტკიცებულებების გაცვლა, ხოლო გამომძიებელმა [redacted] - გამოძიების დაწყება პატაკის საფუძველზე, მოწმეების და დაზარალებულის გამოკითხვა და დაზარალებულისთვის დადგენილების გაცნობა, ასევე, ბრალდებულისთვის სასამართლოს განჩინების საფუძველზე ნერწყვის ნიმუშის აღება, ექსპერტიზის დანიშვნა და ბრალდებულისთვის მტკიცებულებების გაცვლა.

ბრალდებულის დაკავებისა და პირადი ჩხრეკის ოქმის მიხედვით, [redacted] დააკავეს 2021 წლის 25 ოქტომბერს თბილისში, [redacted] გამზირი N1-ის მიმდებარე ტერიტორიაზე დანაშაულის ჩადენისთანავე, როცა ცდილობდა მიმალვას. ოქმის მიხედვით, მან თავიდან მოიშორა ვარდისფერი საფულე, რომელიც დააგდო საავტომობილო გზის ზედაპირზე.

2021 წლის 25 ოქტომბრის ამოღების ოქმის მიხედვით, თბილისის პოლიციის დეპარტამენტის შენობაში [redacted] ამოღებული იქნა პოლიეთილენის ფაილი

და მასში მოთავსებული [redacted] კუთვნილი საფულე, რომელშიც მოთავსებულია 94 ლარი და 70 თეთრის ოდენობის თანხა.

2021 წლის 25 ოქტომბრის ნივთიერი მტკიცებულების გახსნისა და დათვალიერების ოქმის თანახმად, დათვალიერდა ვარდისფერი საფულე, რა დროსაც გამოყენებული იქნა რეზინის ხელთათმანები. ობიექტი მოთავსებულია პოლიეთილენის პარკში და დალუქულია 27/6 ლუქით, რომლის მთლიანობა დარღვეული არ არის. პაკეტში მოთავსებულია ვარდისფერი საფულე პოლიეთილენის ფაილთან ერთად, საფულეში ფულადი თანხა 94 ლარი და 70 თეთრი.

2021 წლის 25 ოქტომბრის ნივთის ამოცნობის ოქმის თანახმად, [redacted] მისთვის წარდგენილი საფულეებიდან ამოიცნო N2 ადგილზე მოთავსებული საფულე.

ბიოლოგიური (გენეტიკური) ექსპერტიზის დასკვნით[1], საფულის გარე ზედაპირსა და ელვა შესაკრავებზე არსებული ბიომასალის გენეტიკური პროფილი და საფულის შიდა ზედაპირზე არსებული ბიომასალის შერეული გენეტიკური პროფილის მაჟორული წილი არ ეკუთვნის [redacted] და ეკუთვნის მამრობითი სქესის სხვა პირს. საფულის შიდა ზედაპირზე არსებული ბიომასალის გენეტიკური პროფილის მინორული წილი იდენტიფიკაციისთვის არაინფორმატიულია. საფულის ძირითადი განყოფილების შიდა ზედაპირზე არსებული ბიომასალის შერეულ გენეტიკურ პროფილში [redacted] გენეტიკური თანამონაწილეობა არ ვლინდება.

აღნიშნული ექსპერტიზის დასკვნის სისწორე სასამართლო სხდომაზე მოწმის სახით დაკითხვისას დაადასტურა ექსპერტმა [redacted].

ბრალდებულმა [redacted] სასამართლოში დაკითხვისას განმარტა, რომ ავტობუსით მგზავრობისას შენიშნა არასასიამოვნო პიროვნება - [redacted], რომელიც 1 კვირით ადრე მის კორპუსთან ჰყავდა შემჩნეული სხვა პირთან ერთად, რის გამო გაერიდა მას და სავაჭრო ცენტრის „გუდვილის" მიმდებარე ტერიტორიაზე ჩავიდა ავტობუსიდან, გადაკვეთა გზის ორივე სავალი ნაწილი და ტროტუარზე გააგრძელა გზა. სწორედ ამ დროს დააკავეს. დაკავებისას თან არანაირი ნივთი არ ჰქონია, საფულე საერთოდ არ ჭერია. დაზარალებული საერთოდ არ ყოფილა ავტობუსში. შემთხვევის ადგილზე დაბალი გოგონა იყო თავშლით, ხოლო სასამართლოში მოიყვანეს სხვა, მაღალი გოგონა. ავტობუსის ვიდეო ჩანაწერები საქმეს არ დაურთეს, რაც ნათელს მოფენდა საქმის გარემოებებს.

1.2. საქალაქო სასამართლოს განაჩენი:

---

[1] N[redacted] დასკვნით, პაკეტში წარწერით: „[redacted] საფულე და მასში მოთავსებული 94.70 ლარი" მოთავსებული საფულის გარე ზედაპირსა და ელვა შესაკრავებზე არსებული ბიომასალის (ობ. N1) გენეტიკური პროფილი და საფულის შიდა ზედაპირზე არსებული ბიომასალის (ობ. N3) შერეული გენეტიკური პროფილის მაჟორული წილი არ ეკუთვნის [redacted] (ობ. N4) და ეკუთვნის მამრობითი სქესის სხვა პირს. ობ. N3-ის გენეტიკური პროფილის მინორული წილი იდენტიფიკაციისთვის არაინფორმატიულია. საფულის ძირითადი განყოფილების შიდა ზედაპირზე არსებული ბიომასალის (ობ. N2) შერეულ გენეტიკურ პროფილში [redacted] (ობ. N4) გენეტიკური თანამონაწილეობა არ ვლინდება. ობ. N2-ის პროფილის ერთი წილი იდენტურია ობ. N1-ის გენეტიკური პროფილის და ობ. N3-ის გენეტიკური პროფილის მაჟორული წილის.

თბილისის საქალაქო სასამართლომ დაასკვნა, რომ ჩვენებებისა და სხვა მტკიცებულებების შეფასებით გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით დასტურდება [redacted] მიერ ბრალად შერაცხული ქმედების ჩადენის ფაქტი. სასამართლომ ყურადღება გაამახვილა დაზარალებულის და პოლიციელების ჩვენებების შინაარსზე და მიუთითა, რომ გაჩერებაზე ავტობუსიდან [redacted], [redacted] და [redacted] გარდა სხვა პირი არ ჩასულა, პოლიციელები დაედევნნენ [redacted], არ დაუკარგავთ ის თვალთახედვის არედან, ხოლო ბრალდებულმა დაკავებისას მოიშორა საფულე, რომელიც მოგვიანებით ამოიცნო დაზარალებულმა.

სასამართლომ არ გაიზიარა დაცვის მხარის არგუმენტაცია დაზარალებულის გამოძიებასა და სასამართლოში მიცემულ ჩვენებებს შორის წინააღმდეგობებთან და ასევე, ბრალდებულის დაკავების ადგილსა და საფულის გადაგდების ადგილის მითითებასთან პოლიციელების ჩვენებებს წინააღმდეგობასთან დაკავშირებით. სასამართლომ განმარტა, რომ მოწმის ჩვენებაა სასამართლოში მიცემული ჩვენება, ხოლო დაზარალებულის გამოძიებასა და სასამართლოში მიცემული ჩვენებები არსებითად არ განსხვავდება ერთმანეთისგან მტკიცების საგანთან მიმართებით და თანხვედრაშია ერთმანეთთან და სხვა მტკიცებულებებთან. რაც შეეხება პოლიციელთა ჩვენებებს, სასამართლოს პოზიციით, დანაშაულებრივი ფაქტის გარემოებების მითითებისას მათი ჩვენებები თანხვედრაშია, თანმიმდევრული და დამაჯერებელია ფაქტობრივი გარემოებების აღწერის თვალსაზრისით. განაჩენის მიხედვით, მოწმეებმა თანმიმდევრულად აღწერეს დანაშაულებრივი შემთხვევის დეტალები და განვითარებული მოვლენების დინამიკა.

სასამართლომ მიუთითა, რომ დაცვის მხარეს არ წარუდგენია დამაჯერებელი ახსნა და არგუმენტი დაზარალებულის და პოლიციელების სავარაუდო დაინტერესებასთან დაკავშირებით. სასამართლომ არ გაიზიარა ბრალდებულის ჩვენება დაკავებამდე პოლიციელის მის კორპუსთან დანახვის შესახებ პოლიციელების ჩვენებებზე დაყრდნობით, რომ ბრალდებულს არ იცნობდნენ დაკავებამდე და პირადი ინტერესი არ ამოძრავებდათ. გარდა ამისა, სასამართლომ აღნიშნა, რომ დაცვის მხარეს არ წარმოუდგენია მომხდარ ფაქტამდე პოლიციელის ბრალდებულის საცხოვრებელ კორპუსთან ყოფნის ფაქტის დამადასტურებელი მტკიცებულება. ავტობუსის ვიდეო ჩანაწერების მოუპოვებლობის შესახებ, სასამართლომ განმარტა, რომ თავად დაცვის მხარეს შეეძლო მათი გამოთხოვა (არსებობის შემთხვევაში) და სასამართლოსთვის წარდგენა.

განაჩენის მიხედვით, ბრალდებულის ბიოლოგიური მასალა არ აღმოჩნდა დაზარალებულის საფულეზე, თუმცა ექსპერტმა ჩვენებაში განმარტა, რომ დნმ-ის დარჩენა ნივთზე დამოკიდებულია მრავალ გარემოებაზე; ნებისმიერი შეხების შემთხვევაში შესაძლოა ნივთზე დარჩეს პირის ბიოლოგიური მასალა ან შესაძლოა არც დარჩეს. ამის გამო სასამართლომ დაასკვნა, რომ ამოღებულ საფულეზე პირის ბიოლოგიური პროფილის არ გამოვლენა ცალსახად არ გამორიცხავს ბრალდებულის შემხებლობას ამა თუ იმ საგანზე და შესაბამისად, იმ გარემოებას, რომ ბრალად შერაცხული დანაშაული არ ჩაუდენია.

1.3. სააპელაციო სასამართლოს განაჩენი:

თბილისის სააპელაციო სასამართლომ განიხილა და შეაფასა ის მტკიცებულებები, რაც გამოკვლეული იქნა პირველი ინსტანციის სასამართლოში. სააპელაციო სასამართლომ

მიიჩნია, რომ საქალაქო სასამართლოს მიერ ყოველმხრივ და ობიექტურად შემოწმდა მტკიცებულებები, შეფასდა თითოეული მათგანი, საქმესთან მათი რელევანტურობის, დასაშვებობის და უტყუარობის თვალსაზრისით. შესაბამისად, დაცვის მხარის სააპელაციო საჩივარი არ დააკმაყოფილა და განაჩენი უცვლელად დატოვა.

სააპელაციო სასამართლომ ბრალდების მხარის წარმოდგენილი მტკიცებულებების ერთობლიობით შეფასების შედეგად გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით მიიჩნია [redacted] მიმართ გამამტყუნებელი განაჩენის გამოსატანად. სასამართლომ მიუთითა დაზარალებულისა და პოლიციელების ჩვენებებზე და აღნიშნა, რომ დანაშაულის მოულოდნელად ჩადენის და მოვლენების სწრაფად განვითარების პირობებში ლოგიკურია, რომ ვიდეო გადაღება ვერ განხორციელებულიყო. სასამართლომ მიუთითა, რომ [redacted] მას შემდეგ რაც დარწმუნდა, რომ დაზარალებულს არ ჰქონდა საფულე, მიჰყვება ავტობუსიდან ჩასულ [redacted] და მიმართავს გაჩერებაზე მყოფ თანამშრომლებს დახმარებისთვის. პოლიციელებმა განახორციელეს ბრალდებულის დევნა და როგორც კი ხელი მოკიდეს, [redacted] სავალ ნაწილზე დააგდო ვარდისფერი საფულე.

სასამართლომ ყურადღება გაამახვილა, რომ თავად [redacted] განმარტებით, საგამოძიებო მოქმედებების განმახორციელებელ პოლიციელებს რაიმე პირადი ინტერესი მის მიმართ არ ჰქონდათ, მსჯავრდებული ვერ ასახელებს მოტივს, რის გამო შეიძლება მისთვის დანაშაული პოლიციელებს დაებრალებინათ. გარდა ამისა, სასამართლოს პოზიციით, დაზარალებულის მხრიდან [redacted] მიმართ რაიმე ინტერესი არ გამოკვეთილა.

სასამართლომ აღნიშნა, რომ მართალია, საფულეზე ბრალდებულის გენეტიკური პროფილის კვალი არ გამოვლინდა, თუმცა ეს ავტომატურად არ გულისხმობს და არ მიუთითებს მის უდანაშაულობაზე. სასამართლომ განმარტა, რომ ნამდვილად იყო საფუძველი, რომ საფულე ამოღებულიყო გადაუდებელი აუცილებლობით, რადგან როგორც მოწმე [redacted] ჩვენებით და მასთან ჩატარებული ამოღების ოქმით დგინდება, ვინაიდან საფულე [redacted] გზის სავალ ნაწილზე დააგდო და არსებობდა ნივთმტკიცების განადგურების რეალური საფრთხე, [redacted] აიღო აღნიშნული ნივთი, მოათავსა პოლიეთილენის პარკში და მიიტანა სამსახურში, რის შემდეგად გამომძიებელმა მისგან ამოიღო საფულე. აღნიშნული გარემოების გათვალისწინებითაც სრულიად შესაძლებელია საფულესთან უფრო მჭიდრო შეხება ჰქონოდა პოლიციელს. ასევე, ვინაიდან იყო ფორსმაჟორული სიტუაცია, მას რაიმე საშუალება, რათა გენეტიკური კვალი არ წაშლილიყო ნივთმტკიცებაზე, არ გააჩნდა.

2. სამართლებრივი დასაბუთება

2.1. შიდაეროვნული კანონმდებლობა

საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, არავინ არის ვალდებული ამტკიცოს თავისი უდანაშაულობა. ბრალდების მტკიცების მოვალეობა ეკისრება ბრალმდებელს.[2] გამამტყუნებელი განაჩენი უნდა ემყარებოდეს უტყუარ მტკიცებულებებს. ყოველგვარი

[2] საქართველოს კონსტიტუცია, მუხლ. 31, პუნქტ. 6.

ეჭვი, რომელიც ვერ დადასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს ბრალდებულის სასარგებლოდ.[3]

კონსტიტუციური პრინციპები ასახულია საპროცესო კანონმდებლობაში: არავინ არ არის ვალდებული, ამტკიცოს თავისი უდანაშაულობა. ბრალდების მტკიცების ტვირთი ეკისრება ბრალმდებელს.[4] მტკიცებულების შეფასების დროს წარმოშობილი ეჭვი, რომელიც არ დადასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს ბრალდებულის (მსჯავრდებულის) სასარგებლოდ.[5] გამამტყუნებელი განაჩენი უნდა ეფუძნებოდეს მხოლოდ ერთმანეთთან შეთანხმებულ, აშკარა და დამაჯერებელ მტკიცებულებათა ერთობლიობას, რომელიც გონივრულ ეჭვს მიღმა ადასტურებს პირის ბრალეულობას.[6]

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო ხაზს უსვამს, რომ უდანაშაულობის პრეზუმფციის კონსტიტუციური პრინციპი მჭიდროდ უკავშირდება სამართლიანი სასამართლოს ფუნდამენტური უფლების ელემენტებს, კონსტიტუციურ გარანტიებს მტკიცების ტვირთის განაწილებასა და მტკიცებულებების ხარისხობრივი მოთხოვნების თაობაზე;[7] ასევე, განსაკუთრებით მკაცრ მოთხოვნებს უწესებს სასამართლოს დაიცვას პროცესის მიუკერძოებლობა, ობიექტურობა და სამართლიანობა.[8]

საგულისხმოა, რომ სააპელაციო და საკასაციო ინსტანციის სასამართლოები საქმის განხილვის დაწყების მომენტიდან ვალდებულნი არიან ქვედა ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების შედეგის მიუხედავად, დაიცვან პირის უდანაშაულობის პრეზუმფცია.[9]

კონსტიტუცია განამტკიცებს უდანაშაულო პირის მსჯავრდების თავიდან აცილების საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპს - „in dubio pro reo", რომლის თანახმად, დაუშვებელია პირის მსჯავრდება საეჭვო ხასიათის ბრალდებების საფუძველზე.[10] აღნიშნული ნორმა უკავშირდება, ასევე, უდანაშაულობის პრეზუმფციის პრინციპს.[11]

კონსტიტუცია ერთმნიშვნელოვნად ადგენს, რომ მხოლოდ უტყუარი მტკიცებულება შეიძლება გახდეს პირის დამნაშავედ ცნობის საფუძველი.[12] უტყუარობის კონსტიტუციური სტანდარტი მოიცავს არა მხოლოდ საეჭვო მტკიცებულების დაუშვებლობის მითითებას (უნდა გამოირიცხოს ეჭვი მტკიცებულების გაყალბების ან არსებითი ნიშან-თვისებების დაკარგვის შესახებ), არამედ ფაქტისა თუ გარემოების

---

[3] საქართველოს კონსტიტუცია, მუხ. 31, პუნქტ. 7.
[4] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლ. 5, ნაწ. 2.
[5] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლ. 5, ნაწ. 3 .
[6] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხ. 13, ნაწ. 2.
[7] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 29 დეკემბრის N2/7/636 გადაწყვეტილება საქმეზე: „საქართველოს მოქალაქე დავით ცინცქილაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ" II-32
[8] იქვე, II-35
[9] იქვე, II-36
[10] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 22 იანვრის N1/1/548 გადაწყვეტილება საქმეზე: „საქართველოს მოქალაქე ზურაბ მიქაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II-2.
[11] იქვე, II-3
[12] იქვე, II-5

მხოლოდ სანდო წყაროდან მიღებული და ჯეროვნად შემოწმებული ინფორმაციის საფუძველზე დადასტურების მოთხოვნას.[13] ამასთან, მტკიცებულების უტყუარობას - სასამართლოში წარდგენილი ინფორმაციის სანდოობას განაპირობებს მისი შემოწმების შესაძლებლობა.[14]

კონსტიტუციით დადგენილი სტანდარტი მტკიცებულებების შეფასებისას სასამართლოს ავალდებულებს სამხილებს შორის კონფლიქტის სამართლიანად გადაჭრას, მტკიცებულებების სათანადოდ აწონვას და ყოველგვარი გონივრული ეჭვის ბრალდებულის უდანაშაულობის და თავისუფლების სასარგებლოდ გადაწყვეტას.[15] გონივრულ ეჭვს მიღმა მტკიცებულებითი სტანდარტი უზრუნველყოფს უდანაშაულობის პრეზუმფციის პრინციპის დაცვას, რადგან ბრალდებულს არ უნდა შეერაცხოს დანაშაული მისი თითოეული ელემენტის არსებობის მტკიცებულებების საკმარისი და დამაჯერებელი ერთობლიობით დადასტურებამდე, უნდა გამოირიცხოს ყოველგვარი გონივრული ეჭვი დანაშაულის ჩადენასთან დაკავშირებით.[16] ამასთან, გონივრულ ეჭვს მიღმა ტესტი სასამართლოსთვის წარმოადგენს პირის დამნაშავედ ცნობისთვის სახელმძღვანელო კრიტერიუმს: სასამართლო პირს დამნაშავედ ცნობს, როცა მის ბრალეულობაში დაარწმუნებს მტკიცებულებები გონივრულ ეჭვს მიღმა (ეს რწმენა სანდო და დასაშვები მტკიცებულებების საფუძველზე ყალიბდება).[17]

უტყუარობის კონსტიტუციური პრინციპი მოითხოვს არა მხოლოდ გამამტყუნებელი განაჩენის უტყუარ (სანდო, გაუყალბებელ) მტკიცებულებებზე დაფუძნებას, არამედ პირის ბრალეულობის მტკიცებულებებით ეჭვგარეშე დადასტურებას.[18]

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციურად ცნო კანონის ნორმატიული შინაარსი, რომელიც უშვებდა ჩხრეკის შედეგად ამოღებული უკანონო ნივთის მტკიცებულებად გამოყენების შესაძლებლობას, იმ პირობებში, როდესაც ამოღებული ნივთის ბრალდებულის მფლობელობაში ყოფნა დასტურდება <u>მხოლოდ სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლების ჩვენებებით</u> და ამავე დროს, სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლებს <u>შეეძლოთ, თუმცა არ მიიღეს სათანადო ზომები</u> ჩხრეკის სანდოობის დამადასტურებელი <u>ნეიტრალური მტკიცებულებების მოსაპოვებლად</u>.[19]

სასამართლო არ უარყოფს, რომ ზოგადად, პირის მფლობელობაში ნივთის აღმოჩენა ქმნის პრეზუმფციას, რომ ეს ნივთი მას ეკუთვნოდა, რაც მტკიცების ტვირთთან და in dubio pro reo-ს პრინციპთან შეუსაბამო არ არის. თუმცა, ამ პრეზუმფციის ნეიტრალური მტკიცებულებებით გამყარება კრიტიკულად მნიშვნელოვანია, როდესაც აღმოსაჩენი

---

[13] იქვე, II-7
[14] იქვე, II-11
[15] იქვე, II-44
[16] იქვე, II-41-42
[17] იქვე, II-45
[18] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 25 დეკემბრის N2/2/1276 გადაწყვეტილება საქმეზე: „გიორგი ქებურია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ II-77.
[19] იქვე, II-1, „ა“.

ნივთი შეიძლება პირის ბრალდების მთავარი საფუძველი იყოს და დავის საგანი სწორედ ამოღებული ნივთის ქონა-არქონაა.[20]

გადაწყვეტილებაში ფუნდამენტური განმარტებები გაკეთდა პირადი ჩხრეკის განხორციელების სანდოობისა და ბრალდებული პირის დაუცველობის კუთხით. ამასთან, საკონსტიტუციო სასამართლომ ცალსახად საეჭვო მტკიცებულებათა კატეგორიას არ მიაკუთვნა სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომელთა ჩვენებები, თუმცა აღნიშნა, რომ აღნიშნული არ გულისხმობს, „რომ პოლიციელთა მიერ მიწოდებული ინფორმაცია ადეკვატური შემოწმების გარეშე იმთავითვე სარწმუნოდ უნდა ჩაითვალოს".[21]

საკონსტიტუციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ სრულიად არ არის გამორიცხული პოლიციის თანამშრომელთა მხრიდან არაკეთილსინდისიერი მოქმედება და, ჰიპოთეტურად, შესაძლებელია მართლაც ჰქონდეს ადგილი კანონსაწინააღმდეგო ნივთის „ჩადებას". ამასთან, ასეთ შემთხვევაში ჩხრეკის ჩატარების ადგილზე მყოფი ყველა პოლიციელი გამოძიებას მისცემს ერთნაირ ჩვენებას და თუ არ იქნება სხვა მტკიცებულება, რაც დაადასტურებს ან უარყოფს რომ ნივთს ფლობდა თუ არა ბრალდებული, ბრალდებულს არ რჩება ბერკეტი, წარადგინოს თავისი სიმართლის დამამტკიცებელი მტკიცებულებები და ზეგავლენა მოხდინოს საქმის შედეგზე.[22]

ამასთან, საკონსტიტუციო სასამართლომ მიუთითა, რომ სწორედ „ბრალდების მხარის ვალდებულებაა, გამოიყენოს კანონიერი საშუალებები იმისთვის, რომ გაამყაროს ჩხრეკა/ამოღების ფაქტისადმი სანდოობა. ... მნიშვნელოვანია, განისაზღვროს სამართალდამცავთა ცალსახა ვალდებულება, მოიპოვონ ჩხრეკის სანდოობის უზრუნველმყოფი მტკიცებულებები, როდესაც ამის შესაძლებლობა არსებობს".[23]

საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, „როდესაც აშკარაა, რომ პოლიციელს შეეძლო მოეპოვებინა ჩხრეკის სანდოობის გამამყარებელი მტკიცებულება და მან ეს არ გააკეთა, მისი ქმედებებისადმი ნდობის ხარისხი მნიშვნელოვნად იკლებს".[24] ასეთ შესაძლებლობად, საკონსტიტუციო სასამართლომ პირდაპირ მიუთითა ჩხრეკის პროცესის ვიდეოგადაღების შესაძლებლობაზე ბრალდების პოზიციის გასამყარებლად, ტექნოლოგიების გათვალისწინებით, თუნდაც მობილური ტელეფონის მეშვეობით.[25]

2.2. *ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი*

ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-6 მუხლი უზრუნველყოფს საქმის სამართლიანი განხილვის უფლებას.

ხსენებული მუხლის მე-2 პუნქტით დაცული უდანაშაულობის პრეზუმფციის პრინციპი მოითხოვს, inter alia, სასამართლომ მოვალეობების შესრულება არ უნდა დაიწყოს

---

[20] იქვე, II-104.
[21] იქვე, II-102.
[22] იქვე, II-104.
[23] იქვე, II-105.
[24] იქვე, II-106.
[25] იქვე, II-107-108.

წინასწარი განწყობით, რომ ბრალდებულმა ჩაიდინა დანაშაული; მტკიცების ტვირთი ეკისრება ბრალდების მხარეს და ნებისმიერი ეჭვი ბრალდებულის სასარგებლოდ უნდა გადაწყდეს.[26] უდანაშაულობის პრეზუმფცია არ წყდება სააპელაციო სასამართლოში საქმის გასაჩივრებისა და განხილვისას მხოლოდ იმიტომ, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ პირი გაასამართლა.[27] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მიხედვით, უდანაშაულობის პრეზუმფცია დაირღვევა მტკიცების ტვირთის ბრალდების მხარიდან დაცვის მხარეზე გადასვლისას.[28]

სამართლიანი სასამართლოს უფლების დარღვევა დადგინდა საქმეებზე, სადაც სისხლის სამართლის ერთ-ერთ ფუნდამენტურ - „in dubio pro reo"-ს პრინციპთან შეუსაბამოდ ჩაითვალა ეროვნული სასამართლოების შემდეგი ქმედებები: გადაწყვეტილებების დაუცველობა და გონივრული ეჭვის მიღმა ბრალდების დადასტურების მოთხოვნის დაუცველობა;[29] მხოლოდ 2 პოლიციელის ჩვენებების გათვალისწინება დაცვის მხარის მოწმეების ჩვენებების უგულებელყოფის ფონზე. მომჩივანის სასარგებლო ყველა მტკიცებულების უარყოფით მტკიცების უკიდურესი და მიუწვდომელი ტვირთი დაეკისრა.[30]

ერთ-ერთ საქმეზე[31] მომჩივანი ამტკიცებდა, რომ ნაგვის ურნაში ნაპოვნი პაკეტი მას არ ეკუთვნოდა, რადგან ლუდის ქილა ჩააგდო და არა ნარკოტიკების შემცველი პაკეტი. შესაბამისად, მოითხოვდა ექსპერტიზის ჩატარებას და 3 თვითმხილველის დაკითხვას. ამასთან, პოლიციელმა დაადასტურა, რომ ურნაში პაკეტთან ერთად იპოვა ქილაც, რითაც დაცვის პოზიცია სრულად არ იყო უარყოფილი. პოლიციელების, როგორც ბრალდების მხარის მოწმეების ჩვენებების უარყოფა შესაძლებელი იყო თვითმხილველების ჩვენებებით. მითუმეტეს, დაცვის მხარის მოთხოვნის მიუხედავად, პაკეტიდან თითის ანაბეჭდი ან დნმ-ის კვალი არასდროს აუღიათ. ამ ჩვენებებს შეეძლო მნიშვნელოვანი როლი ეთამაშა დაცვის პოზიციის განმტკიცებაში ან გამოეწვია გამართლება იმის გათვალისწინებით, რომ სასამართლოსთვის სავალდებულოა „in dubio pro reo" პრინციპი. ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ დაცვის მხარის ყველა მოთხოვნის უარყოფით და ბრალდების მხარის ყველა არგუმენტისა და მტკიცებულების მიღებით, ეროვნულმა სასამართლომ შექმნა უსამართლო უპირატესობა ბრალდების მხარის სასარგებლოდ და, შესაბამისად, განმცხადებელს მოუსპო პრაქტიკული შესაძლებლობა, ეფექტიანად გაესაჩივრებინა წაყენებული ბრალდება.

---

[26] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1998 წლის 6 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე: Barberà, Messegué and Jabardo v. Spain განაცხადი 10590/83 §77

[27]ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2011 წლის 24 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე: Konstas v. Greece განაცხადი N53466/07 §36

[28] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2011 წლის 20 მარტის გადაწყვეტილება საქმეზე: Telfner v. Austria განაცხადი N33501/96 §15

[29] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2011 წლის 13 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე: Ajdarić v. Croatia განაცხადი N20883/09 §51-52

[30] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2014 წლის 31 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე: Nemtsov v. Russia განაცხადი N1774/11 §90 და 92

[31] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2013 წლის 10 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე: Topić v. Croatia განაცხადი N51355/10 §43-49

ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული სასამართლო აფასებს მთლიანობაში სამართალწარმოების სამართლიანობას[32] და არ ადგენს მტკიცებულების დასაშვებობის რაიმე წესს, რაც, ეროვნული კანონმდებლობის რეგულირების საგანს წარმოადგენს.[33] ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილი სტანდარტი ნეიტრალური მტკიცებულების შექმნის ვალდებულებას სახელმწიფოს ასევე ცალსახად აკისრებს.

ევროპულმა სასამართლომ კონვენციის მე-6 მუხლის დარღვევა დაადგინა საქართველოს წინააღმდეგ განხილულ რამდენიმე საქმეზე,[34] სადაც განმცხადებლები მიუთითებდნენ ნარკოტიკული საშუალების და ცეცხლსასროლი იარაღის ე. წ. „ჩადების" თაობაზე, რომლის უკანონო ფლობისთვის გასამართლდნენ, ოპერატიული ინფორმაციით გადაუდებელი აუცილებლობისას ჩატარებული ჩხრეკისა და პოლიციელების ჩვენებების საფუძველზე.

კობიაშვილის საქმეში[35] სასამართლომ აღნიშნა, რომ პირადი ჩხრეკა იყო საგამოძიებო მოქმედება, რომელიც უზრუნველყოფდა მსჯავრდების დამაფუძნებელ მტკიცებულებას. სადავო ჩხრეკის ჩატარების მეთოდმა და ამ ჩხრეკის შედეგების მომჩივნის წინააღმდეგ გამოყენების გზამ, მთლიანობაში გავლენა იქონია სასამართლო განხილვის პროცედურულ სამართლიანობაზე.[36] სწორედ ამ კუთხით მიუდგა სასამართლო საჩივარს და გამოყო განსახილველად მნიშვნელოვანი რამდენიმე საკითხი: მტკიცებულების მოპოვების მეთოდი; მიეცა თუ არა მომჩივანს შესაძლებლობა, სადავო გაეხადა მტკიცებულების ნამდვილობა და შეწინააღმდეგებოდა მის გამოყენებას; საქმის მასალებში არსებული სხვა მტკიცებულებები.

იმავე სტანდარტით და მიდგომით იხელმძღვანელა სასამართლომ მომდევნი პერიოდში განხილულ - *მეგრელიშვილის,*[37] *ტლაშაძის და კაკაშვილის,*[38] *კალანდიას*[39] საქმეების გადაწყვეტისას, ვინაიდან სასამართლოს მიდგომა, ნეიტრალურ მტკიცებულებათა მოპოვების ვალდებულებასთან დაკავშირებით, არ იცვლება.[40]

---

[32] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდი პალატის 2009 წლის 10 მარტის გადაწყვეტილება საქმეზე: „Bykov v. Russia" განაცხადი N4378/02, პარ. 88-90.

[33] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1998 წლის 9 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე: Teixeira de Castro v. Portugal, განაცხადი N 44/1997/828/1034, §34.

[34] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები საქმეებზე: 2019 წლის 14 მარტის გადაწყვეტილება „Kobiashvili v. Georgia" განაცხადი N36416/06 პარ. 73; 2020 წლის 7 მაისის გადაწყვეტილება „Megrelishvili v. Georgia" განაცხადი N30364/09 პარ. 39; 2021 წლის 25 მარტის გადაწყვეტილება „Tlashadze and Kakashvili v. Georgia" N41674/10 განაცხადი N41674/10 პარ. 53; 2021 წლის 22 აპრილის გადაწყვეტილება „Kalandia v. Georgia" განაცხადი N57255/10 პარ. 44

[35] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2019 წლის 14 მარტის გადაწყვეტილება საქმეზე: „Kobiashvili v. Georgia", განაცხადი N36416/06.

[36] იქვე, პარ. 60.

[37] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2020 წლის 7 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე: „Megrelishvili v. Georgia" განაცხადი N30364/09.

[38] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2021 წლის 25 მარტის გადაწყვეტილება საქმეზე: „Tlashadze and Kakashvili v. Georgia" N41674/10.

[39] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2021 წლის 22 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე: „Kalandia v. Georgia" განაცხადი N57255/10.

[40] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები საქმეებზე: 2020 წლის 7 მაისის გადაწყვეტილება „Megrelishvili v. Georgia" განაცხადი N30364/09 პარ. 33; 2021 წლის 25 მარტის გადაწყვეტილება „Tlashadze and Kakashvili v. Georgia" N41674/10 განაცხადი N41674/10 პარ. 46; 2021 წლის 22 აპრილის გადაწყვეტილება „Kalandia v. Georgia" განაცხადი N57255/10 პარ. 38.

მტკიცებულების სანდოობასთან დაკავშირებით ეჭვების წარმოშობისას შესაბამისად იზრდება სხვა მტკიცებულებებით მისი გამყარების საჭიროება.[41] სწორედ ამიტომ, ხსენებულ საქმეებში სასამართლომ განიხილა საკითხი - დადასტურდა თუ არა ჩხრეკის შედეგად ამოღებული ნივთები/ნივთიერება სხვა წყაროებიდან მიღებული მტკიცებულებით და ჩათვალა, რომ მასალებში არსებული არცერთი სხვა მტკიცებულება, ჩხრეკების ოქმების (ჩხრეკის შედეგად მოპოვებული ნივთიერი მტკიცებულების) არარსებობის პირობებში არ იყო თავისთავად საკმარისად მყარი.[42]

ყველა მოცემულ საქმეში სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ პოლიციელები თავიდანვე იყვნენ მომჩივნების წინააღმდეგ საქმისწარმოების წყარო და სწორედ სამართალწარმოების დამწყებ უწყებას წარმოადგენდნენ. შესაბამისად, პოლიციელები დაინტერესებული იყვნენ ბრალდების შედეგით. მათი ინტერესი განსაკუთრებით აშკარა იყო მომჩივნების ბრალდების გათვალისწინებით, რომ პოლიციელებმა ნარკოტიკი/იარაღი ჩაუდეს. მიუხედავად ამისა, მათი ჩვენება ეროვნული სასამართლოების მიერ ავტომატურად ობიექტურად და სანდოდ იქნა მიჩნეული.[43]

ევროპულმა სასამართლომ გააკრიტიკა ეროვნული სასამართლოს მიერ პოლიციელთა ჩვენებების სანდოდ და ობიექტურად მიიჩნევა ისეთ შემთხვევებში, როცა პოლიციელთა ურთიერთსაწინააღმდეგო ჩვენებები მიიღო მათი ან მომჩივანთან დაკავშირებული შედავებების გადაწყვეტის მნიშვნელოვანი მცდელობის გარეშე.[44]

სასამართლოს პოზიციით, ძირითადი მტკიცებულების მოსაპოვებლად გამოყენებული მეთოდი წარმოშობს ეჭვებს მის სანდოობასა და სიზუსტესთან მიმართებით. ხოლო მისი მნიშვნელობის გათვალისწინებით, კუმულაციურად, ჩხრეკის პროცედურულმა დარღვევებმა, ჩხრეკის გარემოებებთან დაკავშირებით არსებულმა წინააღმდეგობრივმა და არათანმიმდევრულმა მტკიცებულებებმა, არაადეკვატურმა სასამართლო განხილვამ, რაც მოიცავდა მომჩივნის ბრალდებების არასაკმარისად გამოკვლევას, რომ ნარკოტიკი მას არ ეკუთვნოდა და გამამყარებელი მტკიცებულების სისუსტემ, სამართალწარმოება მთლიანობაში აქცია უსამართლოდ.[45]

---

[41] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2019 წლის 14 მარტის გადაწყვეტილება საქმეზე: „Kobiashvili v. Georgia" განაცხადი N36416/06 პარ. 72.

[42] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები საქმეებზე: 2019 წლის 14 მარტის გადაწყვეტილება „Kobiashvili v. Georgia" განაცხადი N36416/06 პარ. 72; 2020 წლის 7 მაისის გადაწყვეტილება „Megrelishvili v. Georgia" განაცხადი N30364/09 პარ. 38; 2021 წლის 25 მარტის გადაწყვეტილება „Tlashadze and Kakashvili v. Georgia" N41674/10 განაცხადი N41674/10 პარ. 52; 2021 წლის 22 აპრილის გადაწყვეტილება „Kalandia v. Georgia" განაცხადი N57255/10 პარ. 43.

[43] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები საქმეებზე: 2019 წლის 14 მარტის გადაწყვეტილება „Kobiashvili v. Georgia" განაცხადი N36416/06 პარ. 72; 2020 წლის 7 მაისის გადაწყვეტილება „Megrelishvili v. Georgia" განაცხადი N30364/09 პარ. 38; 2021 წლის 25 მარტის გადაწყვეტილება „Tlashadze and Kakashvili v. Georgia" N41674/10 განაცხადი N41674/10 პარ. 52; 2021 წლის 22 აპრილის გადაწყვეტილება „Kalandia v. Georgia" განაცხადი N57255/10 პარ. 43.

[44] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2021 წლის 22 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე: „Kalandia v. Georgia" განაცხადი N57255/10 პარ. 43.

[45] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები საქმეებზე: 2019 წლის 14 მარტის გადაწყვეტილება „Kobiashvili v. Georgia" განაცხადი N36416/06 პარ. 73; 2020 წლის 7 მაისის გადაწყვეტილება „Megrelishvili v. Georgia" განაცხადი N30364/09 პარ. 39.

ხსენებული საქმეებისგან განსხვავდებით, *თორთლაძის*[46] საქმეში, კონვენციის მე-6 მუხლის დარღვევა არ დადგინდა.[47] სასამართლომ მნიშვნელობა მიანიჭა იმ ფაქტს, რომ ამოღებული ნივთიერება არ წარმოადგენდა მომჩივანის მსჯავრდების დამაფუძნებელ ერთადერთ მტკიცებულებას, ჩხრეკის აუცილებლობა განაპირობა მოწმის მამხილებელმა ჩვენებამ, რომელიც დაიკითხა 2 ინსტანციის სასამართლოში დაცვის მხარის მონაწილეობით, ხოლო ჩხრეკის გარემოებები დამოწმდა ვიდეოჩანაწერით და ჩხრეკაზე დამსწრე საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლის, ასევე, ჩხრეკის ჩამტარებელი პოლიციელების ჩვენებებით. საგულისხმოა, რომ ამის მიუხედავად, სასამართლომ პრობლემურად მიაჩნია ჩხრეკის ისე ჩატარება, რომ <u>გამოირიცხა შემდგომი დაქტილოსკოპიური ექსპერტიზის ჩატარების შესაძლებლობა</u>.[48]

3. წინამდებარე საქმის ანალიზი

პირველი და სააპელაციო ინსტანციის სასამართლოების განაჩენებით, ნასამართლევი [redacted] დამნაშავედ იქნა ცნობილი სხვისი საფულის (მასში არსებული თანხით) ქურდობისთვის.

[redacted] დამნაშავედ ცნობისთვის არსებობს მხოლოდ პოლიციელთა ჩვენებები. დაზარალებულს მისი საფულის მოპარვის ფაქტი არ დაუნახავს. ქურდობის უშუალო ფაქტის ერთადერთი პირდაპირი მტკიცებულება - პოლიციელის [redacted] ჩვენებაა. სავარაუდოდ მოპარული საფულის [redacted] მიერ სავალ ნაწილზე გადაგდების დამადასტურებელ მტკიცებულებას წარმოადგენს ასევე მხოლოდ პოლიციელების ჩვენებები.

ბრალდების მხარეს არ მოუპოვებია და შესაბამისად, საქმეში არ არსებობს ქურდობის და საფულის გადაგდების ფაქტის ამსახველი ნეიტრალური მტკიცებულება.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ბრალდების მხარეს ეკისრება მტკიცების ტვირთი და ბრალდების დამადასტურებელ, მათ შორის, ნეიტრალურ მტკიცებულებათა მოპოვება, ხოლო სასამართლო ვალდებულია გამამტყუნებელი განაჩენი მხოლოდ უტყუარი მტკიცებულებების საფუძველზე გამოიტანოს.

ქებურიას საქმეზე[49] მიღებული გადაწყვეტილებით საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციურად ცნო საპროცესო კოდექსის ნორმატიული შინაარსი, რომელიც უშვებს ჩხრეკის შედეგად ამოღებული უკანონო ნივთის მტკიცებულებად გამოყენების შესაძლებლობას, იმ პირობებში, როდესაც ამოღებული ნივთის ბრალდებულის მფლობელობაში ყოფნა დასტურდება მხოლოდ სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლების ჩვენებებით და ამავე დროს, სამართალდამცავი ორგანოს

---

[46] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2021 წლის 18 მარტის გადაწყვეტილება საქმეზე: „Tortladze v. Georgia" განაცხადი N42371/08.

[47] იქვე, პარ. 66, 68 და 76.

[48] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2021 წლის 18 მარტის გადაწყვეტილება საქმეზე: „Tortladze v. Georgia" განაცხადი N42371/08 პარ. 73-74.

[49] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 25 დეკემბრის N2/2/1276 გადაწყვეტილება საქმეზე „გიორგი ქებურია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ".

თანამშრომლებს შეეძლოთ, თუმცა არ მიიღეს სათანადო ზომები ჩხრეკის სანდოობის დამადასტურებელი ნეიტრალური მტკიცებულებების მოსაპოვებლად.

მართალია, მოცემულ საქმეზე [redacted] პირადი ჩხრეკისას არ ამოღებულა დაზარალებულის საფულე, თუმცა საფულის მოპარვა და მისი ფლობა დასტურდება მხოლოდ პოლიციელთა ჩვენებებით და შესაბამისად, საერთო სასამართლოებისთვის სახელმძღვანელოა საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ დადგენილი სტანდარტი, კერძოდ, მსჯელობა არსებობდა თუ არა ხსენებულის დამადასტურებელი ნეიტრალური მტკიცებულებები, შესაძლებელი იყო თუ არა მათი მოპოვება.

საგულისხმოა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენში ხსენებულ საკითხზე მითითება არ გვხვდება და, ყურადღება გამახვილებულია დაცვის მხარის შესაძლებლობაზე თავად მოეპოვებინა ავტობუსის ვიდეო ჩანაწერები ან სხვა მტკიცებულებები. ხოლო სააპელაციო სასამართლომ, ლოგიკურად მიიჩნია, რომ დანაშაულის მოულოდნელად ჩადენის და მოვლენების სწრაფად განვითარების პირობებში ვიდეო გადაღება ვერ განხორციელებულიყო. შესაბამისად, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს დადგენილი სტანდარტის მიხედვით, განაჩენებში ნეიტრალური მტკიცებულების მოპოვების შესაძლებლობასა და ამისთვის საჭირო ზომების მიღების საკითხზე მსჯელობა არ არის მოცემული.

აღსანიშნავია, რომ გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევის მიუხედავად, პოლიციელების ჩვენებების მიხედვით, 3 პოლიციელი მონაწილეობდა ბრალდებულის დევნასა და დაკავებაში, ხოლო ქურდობის თვითმხილველი პოლიციელი გაჩერებიდან ჩამოვიდა და დაზარალებულთან დარჩა. შესაბამისად, მნიშვნელოვანი იყო სასამართლოებს ემსჯელათ და განეხილათ ხსენებული მეოთხე პოლიციელის მიერ თუნდაც მობილური ტელეფონის ვიდეო კამერით დევნის, დაკავების და საფულის გადაგდების პროცესის გადაღების შესაძლებლობის ქონა, რაც რაიმე განსაკუთრებულ ძალისხმევას, დროს, ცოდნას ან/და კომპეტენციას არ მოითხოვდა. ამასთან, სასამართლოებს შეეძლოთ ყურადღება გაემახვილებინათ იმ გარემოებაზე, რომ დაზარალებულს რაიმე საფრთხე გაჩერებაზე ყოფნისას არ ემუქრებოდა. შესაბამისად, მნიშვნელოვანი იყო სასამართლოებს შეეფასებინათ და დაესაბუთებინათ მოცემულ გარემოებებში ერთი პოლიციელის მიერ ვიდეო გადაღებით ღონისძიების ხელშეშლის ან პოლიციისათვის არაპროპორციული ტვირთის დაკისრების არგამოწვევის საკითხი.

მნიშვნელოვნად მივიჩნევთ, ნეიტრალური მტკიცებულებების მოპოვების თვალსაზრისით რამდენიმე გარემოებაზე ხაზგასმას. აღსანიშნავია, რომ პოლიციელის ჩვენებით, ქურდობა ავტობუსში მოხდა, თუმცა ავტობუსის ვიდეო კამერების ჩანაწერები მოპოვებული არ არის. გარდა ამისა, პოლიციელების ჩვენებების თანახმად, [redacted] მიმართ დევნა, დაკავება და მის მიერ საფულის გადაგდება სავალ ნაწილზე განხორციელდა დიღომში, სავაჭრო ცენტრის „გუდვილის" მიმდებარე ტერიტორიაზე. შესაბამისად, გამორიცხული არ არის და პირიქით, მაღალი ხარისხით სავარაუდოა, რომ ხსენებულ ტერიტორიაზე ყოფილიყო სათვალთვალო ვიდეოკამერები. მიუხედავად ამისა, ბრალდების მხარეს დევნის, დაკავების და საფულის გადაგდების ადგილზე ვიდეო ჩანაწერების გამოთხოვის მცდელობა არ ჰქონია. მნიშვნელოვანია, სასამართლომ განიხილოს ხსენებული საკითხი,

ვინაიდან ვიდეოჩანაწერი, როგორც ნეიტრალური მტკიცებულება განსაკუთრებულ და გადამწყვეტ მნიშვნელობას იძენს იმ ფონზე, როცა პოლიციელების და ბრალდებულის ჩვენებები/პოზიცია რადიკალურად განსხვავდება ნივთის ფლობის საკითხთან დაკავშირებით.

საგულისხმოა, რომ საკონსტიტუციო სასამართლო ჩხრეკის/ამოღების კანონიერების დამადასტურებელ ერთ-ერთ ნეიტრალურ მტკიცებულებად განიხილავს მოცემული საგამოძიებო მოქმედების თვითმხილველი მოწმის ჩვენებას. განაჩენებში აღწერილი მტკიცებულებების მიხედვით [redacted] მიმართ საგამოძიებო მოქმედება არ ხორციელდებოდა, არამედ, ავტობუსიდან ჩასვლის შემდეგ მას დაედევნა 3 პოლიციელი და მერე დააკავეს, რის გამო ჩხრეკის ან საფულის ამოღების დამსწრეთა მოწვევა იმწუთიერად ვერ მოხდებოდა. ამდენად, საჭიროა სასამართლომ იმსჯელოს იმ საკითხზე, თუ რატომ არ იქნა გამოყენებული შემთხვევის შემსწრე პირების მოწმის სახით დაკითხვის შესაძლებლობაც, რომ გამოეკითხათ ავტობუსის მგზავრები, გაჩერებაზე ან ქუჩაში მყოფი ფაქტის თვითმხილველი მოწმეები, რომლებსაც შესაძლოა საქმისთვის მნიშვნელოვანი ინფორმაცია ჰქონოდათ.

აუცილებლად მიგვაჩნია საქართველოს უზენაესმა სასამართლომ განიხილოს და შეაფასოს საფულის „ამოღების" გარემოებები, ამ პროცედურის კანონით დადგენილ წესთან შესაბამისობა და ხსენებულ საკითხზე ქვედა ინსტანციების სასამართლოების პოზიცია.

საყურადღებოა, რომ პოლიციელთა ჩვენებების მიხედვით, [redacted] საფულე გზის სავალ ნაწილზე გადააგდო, რის შემდეგ 2 პოლიციელმა ([redacted] და [redacted]ს) ბრალდებული დააკავა, ხოლო 1 პოლიციელი - [redacted] დარჩა საფულესთან, თუმცა იმ მიზნით, რომ ნივთიერი მტკიცებულება არ განადგურებულიყო, უბრალოდ აიღო, პოლიეთილენის ფაილში ჩადო და წაიღო განყოფილებაში, სადაც მისგან ამოიღო გამომძიებელმა და შემდეგ განყოფილებაში დაილუქა.

სააპელაციო სასამართლომ დაასკვნით, ნამდვილად იყო საფულის გადაუდებელი აუცილებლობით ამოღების საფუძველი. ცხადია, ვეთანხმებით, ნივთიერი მტკიცებულების განადგურების, დაკარგვის ან მასზე კვალის წაშლის საფრთხე ნამდვილად წარმოადგენს ამოღების გადაუდებელი აუცილებლობით ჩატარების საფუძველს. თუმცა სამართლიანი პროცესის მიზნების უზრუნველსაყოფად, მნიშვნელოვნად მივიჩნევთ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ყურადღების მიპყრობას იმ საკითხზე, რომ სააპელაციო სასამართლოს განაჩენში შეფასების გარეშე დარჩა, რომ პოლიციელის [redacted] მიერ ჩატარებული მოქმედება - საფულის შემთხვევის ადგილიდან „აღება" არ წარმოადგენდა საგამოძიებო მოქმედებას. არამედ, პოლიციის განყოფილებაში ჩატარდა პოლიციელ [redacted] საფულის ამოღება, რის შემდეგ დაილუქა ნივთიერი მტკიცებულება.

კანონის თანახმად, კერძო საკუთრების, მფლობელობის ან პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის მზღუდავი საგამოძიებო მოქმედება ტარდება სასამართლოს

განჩინებით[50] ან გამომძიებლის დადგენილებით (შემდგომი სასამართლო კონტროლით) გადაუდებელი აუცილებლობისას, როდესაც დაყოვნებამ შეიძლება გამოიწვიოს გამოძიებისათვის მნიშვნელოვანი ფაქტობრივი მონაცემების განადგურება ან დაყოვნება შეუძლებელს გახდის აღნიშნული მონაცემების მოპოვებას, ან საქმისათვის საჭირო საგანი, დოკუმენტი, ნივთიერება ან ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტი აღმოჩენილია სხვა საგამოძიებო მოქმედების ჩატარებისას (თუ აღმოჩენილია მხოლოდ ზედაპირული დათვალიერების შედეგად), ან არსებობს სიცოცხლის ან ჯანმრთელობის ხელყოფის რეალური საფრთხე.[51] ხსენებული წესით ტარდება დათვალიერება საცხოვრებელ, სამსახურებრივ სადგომში ან დახურულ ტერიტორიაზე მფლობელ პირთა ნების საწინააღმდეგოდ.[52]

კანონის თანახმად, **შემთხვევის ადგილის დათვალიერება** ტარდება იქ, სადაც მოხდა დანაშაული ან **აღმოჩენილია მისი კვალი. დათვალიერების დამთავრებამდე შემთხვევის ადგილი დაცული უნდა იყოს.**[53]

საქმეში მონაწილე პოლიციელების სამუშაო ადგილია - თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ერთ-ერთი სტრუქტურული ერთეული - [redacted] სამმართველო,[54] რომლის კომპეტენციას, სხვა საკითხებთან ერთად, წარმოადგენს „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ" და „პოლიციის შესახებ" საქართველოს კანონებით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელება, ოპერატიული/აგენტურული საქმიანობის განხორციელება, ოპერატიული ინფორმაციის მოპოვება და დამუშავება;[55] ხოლო **დანაშაულზე წასწრებისას, კანონით გათვალისწინებული გადაუდებელი ღონისძიებების (შემთხვევის ადგილის დაცვა, დაკავება, პირადი ჩხრეკა)** განხორციელება.[56]

შესაბამისად, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს მნიშვნელოვანია შეფასდეს, რომ ადგილი, სადაც პოლიციელთა ჩვენებით, ბრალდებულის მიერ გადაგდებული საფულე ეგდო, წარმოადგენდა შემთხვევის ადგილს და კანონით და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის ზემოხსენებული დებულებების თანახმად, პოლიციელს ([redacted]) ევალებოდა შემთხვევის ადგილის დაცვა (მაგ. საფულის მდებარეობის ტერიტორიის შემოსაზღვრა, მისი ადგილზე ხელუხლებლად დატოვება, მოპარვის, დაკარგვის და დაზიანებისგან დაცვა და აგრეთვე, მასზე არსებული კვალის განადგურებისგან დაცვა) გამომძიებლის მისვლამდე, რომელიც უფლებამოსილი იყო ჩაეტარებინა საგამოძიებო მოქმედება და ამოეღო ნივთიერი მტკიცებულება - საფულე. ხაზგასასმელია, რომ მოცემულ შემთხვევაში, პოლიციელმა [redacted]

---

[50] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლ. 112, ნაწ. 1.
[51] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლ. 112, ნაწ. 5.
[52] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხ. 127, ნაწ. 2-3.
[53] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლ. 127, ნაწ. 1.
[54] „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის დებულების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2019 წლის 1 თებერვლის N9 ბრძანების დანართი, მუხლ. 6, პუნქტ. 1. ქვეპუნქტ. „ბ".
[55] იქვე, მუხლ. 8, პუნქტ. 2, ქვეპუნქტ. „ა-გ".
[56] იქვე, მუხლ. 8, პუნქტ. 2, ქვეპუნქტ. „ლ".

პოლიეთილენის ფაილის პარკით წაიღო საფულე, რომელიც განყოფილებაში გამომძიებლის მიერ ამოღების შემდეგ დაილუქა.

საპროცესო კანონმდებლობის თანახმად, ჩხრეკის და ამოღების შედეგად ამოღებული და ასევე, დათვალიერების დროს აღმოჩენილი დათვალიერების დროს აღმოჩენილი საგანი, დოკუმენტი, ნივთიერება თუ ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტი დაწვრილებით უნდა აღიწეროს, დაილუქოს (ხელმოწერის დაფიქსირებით) და შესაძლებლობის შემთხვევაში, შეიფუთოს.[57] ანალოგიურად, ნივთიერი მტკიცებულება უნდა დათვალიერდეს და დაილუქოს; დათვალიერებისას უნდა გამოვლინდეს და აღიწეროს ობიექტის ინდივიდუალური და გვარეობითი ნიშნები.[58] ლუქის მოხსნა და ნივთიერი მტკიცებულების განმეორებით დათვალიერება დასაშვებია.[59]

საგულისხმოა, რომ საპროცესო კანონმდებლობით, არსებითი დარღვევით მოპოვებული მტკიცებულება და ამგვარი მტკიცებულების საფუძველზე კანონიერად მოპოვებული სხვა მტკიცებულება, თუ ის აუარესებს ბრალდებულის სამართლებრივ მდგომარეობას, დაუშვებელია და იურიდიული ძალა არ გააჩნია.[60] მტკიცებულება ასევე დაუშვებელია, თუ იგი მოპოვებულია ამ კოდექსით დადგენილი წესის დაცვით, მაგრამ უარყოფილი არ არის გონივრული ეჭვი მისი შესაძლო გამოცვლის, მისი ნიშან-თვისებების არსებითი შეცვლის ან მასზე დარჩენილი კვალის არსებითი გაქრობის შესახებ.[61] საქმის არსებითი განხილვის დროს მხოლოდ ის მტკიცებულებაა დასაშვები, რომლის ავთენტიკურობაც დასტურდება.[62] დაუშვებელი მტკიცებულება არ შეიძლება საფუძვლად დაედოს სასამართლოს გადაწყვეტილებას.[63]

შესაბამისად, პოლიციელმა კანონით დადგენილ ვალდებულებას - შემთხვევის ადგილის დაცვის ნაცვლად, ნივთიერი მტკიცებულება თვითნებურად, დაულუქავად, წაიღო შემთხვევის ადგილიდან კითხვებს აჩენს. განსაკუთრებით იმ ფონზე, რომ გარდა პოლიციელების ჩვენებებისა, ნეიტრალური მტკიცებულებებით არ დასტურდება, [redacted] მიერ საფულის მოპარვის და შემდეგ გადაგდების, შესაბამისად, მისი მართლსაწინააღმდეგოდ მისაკუთრების და ფლობის ფაქტი.

მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს უზენაესმა სასამართლომ განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს ბიოლოგიური ექსპერტიზის დასკვნას, რომლის თანახმად, საფულეზე არ აღმოჩნდა [redacted] დნმ-ის კვალი. საქალაქო და სააპელაციო სასამართლოების განმარტებით, აღნიშნული არ გამორიცხავს საფულესთან [redacted] შემხებლობას და მის უდანაშაულობას. საქალაქო სასამართლომ მიუთითა ექსპერტის ჩვენებაზე, რომლის თანახმად, ნებისმიერი შეხების შემთხვევაში შესაძლოა ნივთზე დარჩეს პირის ბიოლოგიური მასალა ან შესაძლოა არც დარჩეს. ხოლო სააპელაციო სასამართლომ დამატებით აღნიშნა, რომ პოლიციელმა აიღო საფულე, მოათავსა

---

[57] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლ. 126, ნაწ. 1; მუხ. 120, ნაწ. 6.
[58] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხ. 77, ნაწ. 2.
[59] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხ. 77, ნაწ. 3.
[60] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხ. 72, ნაწ. 1.
[61] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხ. 72, ნაწ. 2.
[62] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხ. 77, ნაწ. 4
[63] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხ. 72, ნაწ. 6.

პოლიეთილენის პარკში, მიიტანა სამსახურში და მისგან ამოიღო გამომძიებელმა. სასამართლოს პოზიციით, სრულიად შესაძლებელია საფულესთან უფრო მჭიდრო შეხება ჰქონოდა პოლიციელს. ფორსმაჟორული სიტუაციის გამო რაიმე საშუალება, რათა გენეტიკური კვალი არ წაშლილიყო ნივთმტკიცებაზე, არ გააჩნდა.

ამდენად, ექსპერტიზის დასკვნა საფულეზე ბრალდებულის/მსჯავრდებულის ბიოლოგიური კვალის არარსებობის შესახებ სასამართლოებმა უარყვეს, მიუხედავად იმისა, რომ ექსპერტიზის დასკვნას და ჩვენებას დაცვის მხარის ვერსია არ გამოურიცხავს. მეტიც, სწორედ პოლიციელის მხრიდან კანონით გათვალისწინებული წესისგან განსხვავებულმა ქმედებამ - შემთხვევის ადგილიდან ნივთიერი მტკიცებულების თვითნებურმა აღებამ გამოიწვია ის გარემოება, რომ საფულესთან უფრო მჭიდრო კონტაქტი პოლიციელს ჰქონდა, რაც სააპელაციო სასამართლომ ბრალდებულის დამნაშავეობის შესახებ ეჭვის დასადასტურებლად გამოიყენა.

ცალკე აღნიშვნის ღირსია თბილისის საქალაქო სასამართლოს განაჩენში, ბრალდებულის დამნაშავეობის გასამყარებლად მოხმობილი ციტატა საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის გადაწყვეტილებიდან[64], რომლის თანახმად, მოწმე პოლიციელების ჩვენებებში ეჭვის შეტანის საფუძვლის არარსებობისას, მხოლოდ ის ფაქტი, რომ ამოღებული ნივთიერების შენაფუთზე არ გამოვლინდა პირის გენეტიკური პროფილი - არ წარმოადგენს მისი გამართლების საფუძველს. ამავე გადაწყვეტილების მიხედვით, თუკი სასამართლოები მსგავს პოზიციას განამტკიცებენ, ამით შესაძლოა წახალისდეს კრიმინალი, რადგან ნარკოტიკული დანაშაულის, ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შეძენა - შენახვა ისეთი საშუალებით, რომლის გამოყენებით ნივთზე არ დარჩება პირის გენეტიკური პროფილი, უპირობოდ იქნება გამამართლებელი განაჩენის გამოტანის საფუძველი, რაც, ბუნებრივია, საკასაციო სასამართლოსთვის, მიუღებელია.

თბილისის საქალაქო სასამართლომ 2022 წელს მიღებულ განაჩენში მიუთითა საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის გადაწყვეტილებაზე, რომლითაც ნარკოტიკულ დანაშაულზე სააპელაციო სასამართლოს გამამართლებელი განაჩენი ძალაში დარჩა. ამასთან, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს, უახლესი, 2020 წლის დეკემბერში მიღებული გადაწყვეტილებით[65] დადგინდა უკანონო ნივთის ჩხრეკის/ამოღების ფაქტის და შესაბამისად, ხსენებული ნივთიერების ნეიტრალური მტკიცებულებებით გამყარების აუცილებლობა. მიუხედავად ამისა, სასამართლოებმა [redacted] მიმართ გამამტყუნებელი განაჩენი გამოიტანეს.

დასკვნა

წინამდებარე საქმეს დიდი მნიშვნელობა გააჩნია ნეიტრალური მტკიცებულებების მოპოვების დამკვიდრების ვალდებულებაში, რასთან დაკავშირებითაც უკვე იმსჯელა

---

[64] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 13 ოქტომბრის N262ა3-17 გადაწყვეტილება. იხ. < https://www.supremecourt.ge/ka/fullcase/37924/2 > ბოლოს ნანახია: 06.03.2023 წ.

[65] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 25 დეკემბრის N2/2/1276 გადაწყვეტილება საქმეზე „გიორგი ქებურია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

საკონსტიტუციო სასამართლომ. სისხლის სამართლის საქმის სამართალწარმოების პროცესში ნეიტრალური მტკიცებულებების მოპოვება უზრუნველყოფს საკმარისი მტკიცებულების წარდგენას და მნიშვნელოვნად შეამცირებს თვითნებობის რისკებს. დანაშაულებრივი ქმედების ნეიტრალური მტკიცებულებით დადასტურების გარეშე, მხოლოდ პოლიციელთა ჩვენებებზე დაყრდნობით პირთა დამნაშავედ ცნობა ეწინააღმდეგება კონსტიტუციას და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკას.

შესაბამისად, საქართველოს უზენაესმა სასამართლომ მნიშვნელოვანია შეაფასოს აღნიშნული პრაქტიკის კანონიერება განაჩენის გამოტანისას და იმგვარი მიდგომა დაამკვიდროს, რომელიც შესაბამისობაში იქნება ადამიანის უფლებების დაცვის სტანდარტებთან.

ვიმედოვნებ, წინამდებარე დოკუმენტში მოყვანილი სამართლებრივი არგუმენტაცია დაეხმარება სასამართლოს გადაწყვეტილების მიღებისას.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ ზემოაღნიშნულ გარემოებებზე ჯეროვანი მსჯელობა და დასაბუთებული პოზიციის წარმოდგენა განსახილველ საკითხებზე, უშუალო გავლენას მოახდენს როგორც ინდივიდების უფლებებისა და თავისუფლებების უზრუნველყოფაზე, ასევე, სასამართლოს შემდგომი პრაქტიკის განვითარებაზე, რის გამოც მოგმართავთ სასამართლოს მეგობრის მოსაზრებით.

აღნიშნული გადაწყვეტილების მიღებისას ვიხელმძღვანელე „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21–ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტითა და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 55–ე მუხლით.

დამატებით, გაცნობებთ, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 55-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, გამოვთქვამთ მზადყოფნას საქმის არსებით განხილვაზე ზეპირი განმარტების მისაცემად.

პატივისცემით,

ლევან იოსელიანი

სახალხო დამცველი

.